ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!
ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 16 (43) აგვისტო 1991

## საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის განცხადება

**სამწუხაროდ, ვერ მოესწრო სახალხო ფრონტის დარბაზის შეკრება. ქვემორე განხილულ საკითხზე სამხედროდ.საკითხის ხიმწვავე მაიძულებს, ჩემი პირადი პოზიცია გავაცნო მკითხველს მანამდე, სანამ საკითხი განიხილებოდეს სახალხო ფრონტის დარბაზის მიერ.**

**თავდაცვა** სახელმწიფოს ერთ-ერთი არსებითი ფუნქციაა. სახელმწიფო, რომელსაც შეიარაღებული ძალები არა ჰყავს, სახელმწიფო არ არის. კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა და ვერ იქნება ისეთი სახელმწიფო, რომელსაც შეიარაღებული ძალა არ ჰყავს. ამგვარად, იმის თქმა, რომ საქართველო სახელმწიფოა, იმის თქმასაც ნიშნავს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალა (არმია) ჰყავს და თავისი თავის, თავისი ტერიტორიისა და მოქალაქეების დაცვა შეუძლია მეტნაკლებად მაინც. როდესაც პოლიტიკოსები და მეცნიერები ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოებრიობა ფიქტიურია, ამ სიტყვებით, ისინი, პირველ ყოვლისა, იმას გულისხმობენ, რომ ამ რესპუბლიკებს საკუთარი შეიარაღებული ძალები, საკუთარი არმიები არ ჰყავთ.

საქართველოს ეროვნული პოლიტიკური ძალები, რომლებიც 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრის არჩევნებზე საქართველოს თავისუფლების ლოზუნგით გამოდიოდნენ და უზენაეს საბჭოში უმრავლესობა მოიპოვეს, ბლოკი „მრგვალი მაგიდა“, საქართველოს სახალხო ფრონტს, „დემოკრატიული საქართველო“) ხალხს ალუთქვამდნენ, რომ იბრძოლებდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ანუ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ამომრჩეველი, რომელიც ამ ძალებს ხმას აძლევდა, მათგან მოითხოვდა არა ფიქტიური, არამედ ნამდვილი, ფაქტობრივი სახელმწიფოს შექმნას. არც ერთ ჩვენგანს, ვისაც ხალხმა ნდობა გამოგვიცხადა, არ გვაქვს უფლება, მას იმედი გავუცრუოთ.

როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია შეიკრიბა (1990 წლის ნოემბერი), იგი მოვალე იყო, საქვეყნოდ განეცხადებინა, რომ საქართველოს უფლებაცა აქვს და ვალდებულიცაა თავისი მოქალაქეების წინაშე, რომ არმია შექმნას. ჩვენ მაშინვე უნდა შეგვექმნა ჩვენი არმია, თუნდ მცირერიცხოვანი შემადგენლობით, რათა ამ პრაქტიკულად უმნიშვნელო ძალითაც კი, სამარადისოდ ჩაგვეყარა კანონიერი და ვერვისგან შესადავებელი ან უარსაყოფელი საძირკველი ჩვენი თავდაცვისუნარიანობისათვის. ამით, ჩვენ შევქმნიდით იმ შეუვალ კანონიერ ფორმას, რომელშიც ორგანიზაციულად ჩამოყალიბდებოდა, დღეიდან და სამარადისოდ, ჩვენი ხალხის ღვთით მომადლებული ვაჟკაცობა, ჭკუა-გონება, ზნეობა და თავგანწირვა, რათა ჩვენი სამშობლო და მისი საზღვრები დაგვეცვა. საქართველოს უზენაესმა საბჭომ ეს არ გააკეთა არც მაშინ, არც 1991 წლის 9 აპრილს, დამოუკიდებლობის აქტის მიღების დღეს, და ამით უარი თქვა ამ ვითარებაში თავის წმინდათაწმინდა მისიაზე — საკუთარი მოქალაქეებისა და მსოფლიოს წინაშე ჩვენი სახელმწიფოებრიობა და ჩვენი ეროვნული მეობა ყველა მისი არსებითი ატრიბუტით წარმოედგინა. გავრცელებული აზრით, ეს მხოლოდ გაუბედაობის შედეგად მოხდა. მაგრამ ყველა შემთხვევაში, ეს დიდი შეცდომა იყო. იმპერია, რომელმაც ვერ აღმართა და არ აღმართა ხელი საქართველოს (აგრეთვე სხვა რესპუბლიკების) ეროვნულ პარლამენტებზე, ვერ აღმართავდა ხელს ვერც ჩვენი სახელმწიფოებრიობის იმ ძირითად ელემენტზე, რომელსაც საქართველოს შეიარაღებული ძალა ჰქვია. ხოლო თუ აღმართავდა, ჩვენი მცირე არმია გაიღებდა მსხვერპლს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩაიწერდა თავის ისტორიაში პირველ სახელოვან ფურცელს, რომელიც არმიას ისევე სჭირდება, თავისი მომავალი ბრძოლისუნარიანობისათვის, როგორც ერს სჭირდება თავისი ისტორია.

არმიის შექმნის ნაცვლად, საქართველოს ხელისუფლებამ კომპრომისული გზა აირჩია. მან შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შექმნა **ეროვნული გვარდია,** რომლის არსებობასაც ჩვენს პირობებში ორი მთავარი გამართლება ჰქონდა და აქვს: ჯერ ერთი, გვარდიაში წასვლით, ჩვენმა ახალგაზრდებმა თავი დააღწიეს საბჭოთა არმიაში სამსახურს და ამ სამსახურზე უარის თქმასთან დაკავშირებულ სირთულეებს; მეორეც, გვარდია შესაფერისი ორგანიზაციული ფორმაა სპეციალური ცოდნის მიღებისა და ახალგაზრდების გაწვრთნისათვის. გვარდიის მხუსებიც ცნობილია: ჯერ ერთი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში ყოფნა გვარდიას აკისრებს **პოლიციურ ფუნქციებს,** რაც მისაღებია მრავალი ღირსეული და უნარიანი ახალგაზრდისათვის, მაგრამ **არა ყველასათვის.** მეორეც, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურისათვის მოქალაქის სავალდებულო **გაწვევა იურიდიულად** მართებული არ არის. (შეიარაღებულ ძალთა მედგენა გაწვევის პრინციპით დღევანდელ საქართველოში მე საერთოდაც შეცდომად მიმაჩნია. ეს ძალები მოხალისეობის პრინციპით უნდა შეიქმნას).

ხაზი მინდა გავუსვა: გვარდიის შექმნა, მისი სტატუსისა და ფუნქციების ზემოხსენებული ნაკლოვანებების მიუხედავად, ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმისათვის მაინც **დიდი პლიუსი** იყო. მინუსი მხოლოდ ის იყო და არის, რომ მის გარდა, და მის გვერდით არმიაც არ შეიქმნა.

19 აგვისტოს მოსკოვში პუტჩი მოხდა და ახალმა „ხელისუფლებამ“, რომელიც, საბედნიეროდ, ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, გვარდიის დაშლა ბრძანა, როგორც „უკანონო შეიარაღებული ფორმირებისა“. ჩვენი ეროვნული გვარდია უკანონო ფორმირებად მიიჩნდა და მიიჩნია სსრკ-ში მანამდე არსებულ და დღეს კვლავ არსებულ კონსტიტუციურ ხელისუფლებასაც. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ — ქართველმა ერმა და საქართველოს ხელისუფლებამ — მათ აზრს უსიტყვო კაპიტულაცია გამოვუცხადოთ და გვარდია დავშალოთ ან განვაიარაღოთ! სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, გვარდიას წართმეული აქვს უფლება რაიმე იარაღის ქონისა, იმის გარდა, რისი უფლებაც მილიციას აქვს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, გვარდიას წართმეული აქვს ყველა ფუნქციის შესრულების საშუალება, გარდა იმისა, რაც მილიციას აკისრია. დღეს, ეროვნული ხელისუფლების არსებობის ათი თვის თავზე, ჩვენ ჩვენი შეიარაღებული ძალები არ გვყავს. ჩვენი **სამხედრო** მოქმედებისუნარიანობა ნულს უდრის!

წინამდებარე განცხადების მიზანი არაა უკვე ჩადენილი შეცდომების მხილება. მისი მიზანი ისაა, რომ ხელი შეუშალოს ახალი შეცდომების დაშვებას.

ამ ორი დღის წინ, რუსეთის ფედერაციულმა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ საკუთარი არმიის შექმნა გამოაცხადა. ეს გარემოება ჩვენ, საქართველოს, პრაქტიკულად გვიადვილებს ჩვენი საკუთარი არმიის შექმნას. ჩვენ მოვალენი ვართ, ახლავე, დაუყოვნებლივ დავაკანონოთ საქართველოს რესპუბლიკის მიერ საკუთარი არმიის შექმნა და პრაქტიკულად შევუდგეთ ამ დადგენილების განხორციელებას. ამის არქმნა საქართველოს ღალატი იქნება.

მიუღებელია, რომ ჩვენი ეროვნული გვარდიის ბედის განსაზღვრაში ერეოდეს საბჭოთა არმიის სარდალი კავკასიაში გენერალ-პოლკოვნიკი პატრიკეევი და გამოთქვამდეს მოთხოვნის სახით თავის აზრს, რომ გვარდიამ იარაღი ჩააბაროს. ეს არის უხეში ჩარევა სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში.

საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: თუ საქართველოს ხელისუფლება დაუშვებს საბჭოთა არმიის ნაწილების თავდასხმას საქართველოს ეროვნულ გვარდიაზე ან ჩვენი ქვეყნის სხვა რომელიმე ე. წ. „უკანონო გაერთიანებაზე“ დღეს ან მომავალში, ეს იქნება მიუტევებელი დანაშაული ერის წინაშე.

რსფსრ უზენაესმა სახელმწიფო ხელისუფლებამ ამ ორი დღის წინ თავის იურისდიქციას დაუქვემდებარა რსფსრ ტერიტორიაზე არსებული სსრკ კუთვნილი საწარმოები. ეს ხელსაყრელ პირობებს უქმნის საქართველოს ხელისუფლებას ანალოგიური ნაბიჯის გადადგმისათვის. საქართველოს უზენაეს საბჭოს შეუძლია და მოვალეცაა ეს შესაძლებლობა დაუყოვნებლივ გამოიყენოს!

**ნოდარ ნათაძე**

## გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორის განცხადება

**24 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა გიორგი მარჯანიშვილის წერილი — „არ ხუმრობენ“.**

**ბატონ გიორგის ადრე წესიერ კაცად ვიცნობდი, მაგრამ, როგორც ჩანს, კულტურის მინისტრის მოადგილის პოსტის დაკარგვის შემდეგ, ისე გაბოროტდა და, ამასთან, ისეთი დიდი სურვილით ალენთო, კვლავ დაიბრუნოს დაკარგული პრივილეგიები, რომ ყველაფრისთვის მზად არის, რათა ხელისუფალთ ასიამოვნოს...**

**ზემოხსენებულ წერილში გ. მარჯანიშვილი წერს, „ქართველ „დემოკრატთა“, სახალხო ფრონტისა და „ეროვნული“ კონგრესის შემოქმედთა ნართაული საუბარი გვარწმუნებს იმაში, რომ ისინი სწორედ ერთიანი საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მომხრენი არიან“.**

**თუ გ. მარჯანიშვილი დაასაბუთებს, რომ სახალხო ფრონტი ერთიანი საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მომხრეა, მაშინ მე, როგორც ამ ორგანიზაციის გაზეთის რედაქტორი, წყევლა-კრულვით მივატოვებ სახალხო ფრონტს, მაგრამ თუ იგი ამას ვერ იზამს, უნდა აღიაროს, რომ კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობასთან ერთად, დაკარგა პოლიტიკური კამათის კულტურა და, რაც უფრო სამწუხაროა, — სინდისიც.**

## გამოიწერეთ!
## გამოიწერეთ!
## გამოიწერეთ!

# გაზეთი „საქართველო“

**დაიწყო ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის კამპანია.**

**ვფიქრობთ, საქართველოში „საქართველოს“ ზედმეტი რეკლამა არ უნდა სჭირდებოდეს. ვისაც ჩვენი ცხოვრების ავ-კარგის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების პირუთვნელად ამსახველი ინფორმაცია, პუბლიკაციები აინტერესებს, იგი აუცილებლად გამოიწერს „საქართველოს“!**

**არ დაგავიწყდეთ: მომავალი წლიდან „საქართველო“ საცალო ვაჭრობაში შეზღუდული ტირაჟით გამოვა (თანაც, გაზრდილი ფასით. ხელმოწერის თანხა მინიმალური რჩება: ერთი წლით — 12 მან. ანუ, გაცილებით ნაკლები, ვიდრე ერთი ქილა უცხოური ლუდი!).**

## ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო...

დღეს საქართველოში რომელ პრეფექტსაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველაზე დიდი ნატვრა რა გაქვსო, დაუფიქრებლად გიპასუხებთ, რუსეთის მარწუხებისაგან საქართველოს განთავისუფლებაზე ვოცნებობო.

სწორედ ასეთი პრეფექტები, ასეთი თავკაცები გვჭირდება მეგობრებო!

ალბათ, არც აჭარის ერთ-ერთი რაიონის პრეფექტი, ბატონი თამაზ ასანიძე დაფიქრდება აღნიშნულ კითხვაზე და დაუყოვნებლივ მოგიგებთ:

— რა მსურს? რა და საქართველოს ხსნა მსურს ამ დამპალი იმპერიისაგანო. — აგაშენათ ღმერთმა, ბატონო პრეფექტო.

ერთი ასეთი კითხვაც რომ მისცეთ მის კოლეგებს:

„რომელი პოლიტიკური ძალა და რომელი ლიდერი მიგაჩნიათ საქართველოს ჭეშმარიტ გულშემატკივრად?“ — კვლავაც დაუყოვნებლივ გიპასუხებენ:

— ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ და მისი ლიდერი ბატონი ზვიად გამსახურდია.

ბუნებრივია, სხვა მრავალთა შორის, იგივეს გიპასუხებთ ბატონი თამაზ ასანიძე.

აბა რას ვერჩი ამ პატიოსან კაცს? ვერჩი კი არა, პირდაპირ გახარებული ვარ მისი სასიკეთო მეტამორფოზით. ჩემი სიხარულის მიზეზი კი, აი, რა გახლავთ.

ამ 9 თვის წინ, 1990 წლის ნოემბერში, ამჟამინდელი პრეფექტი თ. ასანიძე წამოყენებული ყოფილა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად № 170-ე ბათუმის ეროვნულ ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში. დეპუტატობის კანდიდატი, სწორედ მაშინ, 9 თვის წინ, წინასაარჩევნო პროგრამაში, შავით თეთრზე წერდა:

**„საქართველოს ეროვნული ხსნის კომიტეტი (?) არ უნდა გახდეს ხელისუფლებისათვის მებრძოლი პოლიტიკური ორგანიზაცია“.**

იმჟამად „ეროვნული ხსნის კომიტეტი“ კარგა ხნის დაშლილი იყო, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ფაქტი ის გახლავთ, რომ თ. ასანიძეს, როგორც ჩანს, არ სურდა ხელისუფლებას გაკარებოდნენ ეროვნული ხსნის კომიტეტის წევრები. ვფიქრობ, მკითხველს არ სჭირდება იმის შეხსენება, რომ ბატონი ზვიად გამსახურდია თავის დროზე ამ კომიტეტის ლიდერი იყო და, საერთოდ, „ეროვნული ხსნის კომიტეტი“ თავის დროზე წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ მებრძოლ ეროვნულ ძალას. კომენტარი ალბათ ზედმეტია.

იმავე პროგრამაში (ვიმეორებ, პროგრამაში და არა სადღაც ორღობეში) თ. ასანიძეს ნათქვამი აქვს:

**„არა ვარ თანახმა, საქართველოს სსრ კავშირიდან გასვლისა, რადგან სხვა მოკავშირეებთ არ მეგულება“.**

ჩვენს მტერს ჰყავდეს ისეთი მოკავშირე, სსრ კავშირი რომ არის, ბატონო თამაზ! ამას ახლა, როგორც ჩანს, თქვენც მიხვდით და პრეფექტადაც ამიტომ დაგნიშნეს ალბათ, ღმერთმა ალარ გამოგვაცვლევინოთ ამჟამინდელი შეხედულებანი ჩვენს დამაქცევარ სსრ კავშირზე.

**ნოდარ გრიგალაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს
ბატონ ვახტანგ რაზმაძეს
საქართველოს უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის"

# განცხადება

საქართველოს კომპარტიის გაზეთ „ცხოვრებაში" გამოქვეყნდა ამ პარტიის ცკ-ს ბიუროს დოკუმენტი, რომელიც მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის უზენაესი ხელისუფლების ალებას „საგანგებო მდგომარეობის საგანგებო კომიტეტის" მიერ, რომელსაც სათავეში უდგას სსრკ ვიცე-პრეზიდენტი იანაევი. ეს დოკუმენტი პირდაპირ და უშუალოდ მიმართულია საქართველოს რესპუბლიკის ინტერესთა წინააღმდეგ, რამდენადაც:

ა) დოკუმენტი ეწინააღმდეგება საქართველოს დამოუკიდებლობის პრინციპს იმით, რომ გამოთქვამს პოზიციას უცხო ქვეყნის (სსრკ) შინაგანი პოლიტიკური ვითარების მიმართ და ამ ვითარების შეცვლის საჭიროებას საქართველოს პრობლემების გადაუჭრელობით ასაბუთებს, რითაც საქართველოს ზემოხსენებული უცხო ქვეყნის ნაწილად ცნობს.

ბ) ზემოხსენებული „კომიტეტის" პლატფორმა მოიცავს რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციაზე სსრკ კონსტიტუციის უზენაესობის აღიარებასა და მოთხოვნას. მ. გორბაჩოვის ადმინისტრაციას ეს მოთხოვნა არ წამოუყენებია. ამგვარად, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ბიუროს ზემოხსენებული დოკუმენტი არის მხარდაჭერა იმპერიის ადმინისტრაციის კურსისა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 17-18 ნოემბრის სესიის იმ დადგენილების გაუქმებაზე, რომელიც აკანონებს საქართველოს კანონების უზენაესობას საქართველოში, და პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო 1991 წლის 9 აპრილს.

გ) დოკუმენტი მხარს უჭერს უცხო ქვეყნის ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც არ ცნობს საქართველოს გამოსვლას სსრკ-ს შემადგენლობიდან და აღიარებს „სსრკ ტერიტორიული მთლიანობის" დაცვის პრინციპს, ანუ აღიარებს დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ ახალი აგრესიის დასაშვებობას მისი სსრკ-ში იძულებითი ხელახალი შეყვანის მიზნით. ამით ზემოხსენებული დოკუმენტი ხელს უწყობს, უცხო აგრესიულ ძალას იმაში, რომ საქართველოზე თავდასხმისათვის და მისი ანექსიის მცდელობისათვის საბაბი ეძებოს.

მივაპყრობთ თქვენს ყურადღებას იმაზე, რომ საქართველოს კპ ცკ ბიუროს ზემოხსენებული დოკუმენტი არის ცნობიერი მოქმედება საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ, რის გამოც, ბუნებრივი იქნება საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის დაინტერესება ამ მოქმედებით და ამის გამო, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

**საქართველოს უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრი"**

22 აგვისტო, 1991 წელი.

# მემკვიდრეობითი ღალატი

მსოფლიო ავანტიურიზმის მატიანეში უკვე ჩაიწერა: 1991 წლის 19 აგვისტოს საბჭოთა კავშირში მომხდარ პუტჩს მხარი დაუჭირეს ერაყელმა სადამ ჰუსეინმა, ლიბიელმა მოამარ კადაფიმ და საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ; მსოფლიოს დანარჩენმა მოსახლეობამ დაგმო ეს ბანდიტური აქცია...

დიახ, სამწუხაროდ, ფაქტია, სავსებით უეჭველი ფაქტი.

რა მოხდა? რას ნიშნავს ეს უცნაური ფაქტი? რა კავშირი აქვს საქართველოს კომპარტიას ამ პოლიტიკურ კანიბალიზმთან?

ვაგლახ, ამ ამბავში უცნაური და პარადოქსული არაფერია, პირიქით, ყველაფერი გასაგები და კანონზომიერია.

ტყიურთა შორის უვერაგეს მხეცს — მგელს, როგორც ქართული ლიტერატურიდანაც ვიცით, ერთი ასეთი თვისება აქვს, რაც უნდა უჭირდეს საკვები, შიმშილით სულსაც რომ დალევდეს, მოძმის გვერდით დგას და მასთან ერთად დასუნსულებს, მაგრამ საკმარისია, იმავე გვერდით მდგომის სისხლის სუნი იკრას, უმალ ებრძლვნება და, ვიდრე ძვლებიანად არ დახრავს, ვერ მოისვენებს.

ფერიცვალობას, როგორც კი გავრცელდა ცნობა მოსკოვში მომხდარი პუტჩის შესახებ და მთელი მსოფლიო შეშფოთებამ მოიცვა, საქართველოს კომპარტიას დრო არ დაუკარგავს, დაფაცურდა, სასწრაფოდ მოიწვია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა და დაადგინა: „**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო დროულად, მიზანშეწონილად მიაჩნია სსრკ მთელ რიგ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღება და საგანგებო კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება**".

ხედავთ, აქამომდე თავსნაცარწაყრილები რა ყინჩად ამძრახდნენ!

ხუნტის, ანუ საგანგებო კომიტეტის ლიქნა აღარ იკმარეს (ვერც იკმარებდნენ) და იქვე გვარიანად გამოლანძღეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, დააბეზღეს იმპერიის ახალი მესვეურების წინაშე.

რა მოხდა, რამ გადარია ჩვენი ბეჩარა კომპარტია?

სუნი იკრა.

სისხლის სუნი!

ეს თბილისში. ბაღდადში ჰუსეინმა აელვარა თვალები, ტრიპოლიში — კადაფიმ. რა იცოდა ტოტალიტარიზმისა და საერთაშორისო ტერორიზმის ამ ორმა „პატრიარქმა", რომ შორეულ კავკასიაში მათი სიხარული მთელმა ლეგიონმა გაიზიარა.

იმ ავბედით დილას ჩვენთან, რედაქციაში, მოვიდა ერთი ნაცნობი, ახალგაზრდა, მაგრამ სტაჟიანი კომუნისტი და უცნაურად თვალებანთებულმა მითხრა, ჩვენები მოდიან, ძველი დრო ბრუნდება და იცოდე, თუ გაგიჭირდეს, მომაკითხეო.

გავოცდი. როგორ დავიჯერებდი, პუტჩისტები მაინცდამაინც ამ კაცისთვის მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში.

რაღა თქმა უნდა, გულუბრყვილობით ვცდებოდი.

ნუ იტყვით, პუტჩისტების გმირობას საქართველოს ყველა კომუნისტის გული აუჩქროლებია და ყველას სასოებით მოუხინჯავს გაცოცხლებული თილისმა — პარტბილეთი. მოუხინჯავთ და ერთ გუნდად შეკრულან (ბიუროს სხდომა მოიწვიეს), რათა წითელი პინოჩეტის სიმტკით დასცემოდნენ საქართველოს და დაებრძოლნათ ისე, როგორც ერთ დროს დაებრძოლნენ სამშობლოს მათმა პირსისხლულვაშიანმა წინაპრებმა.

მაგრამ, ევგენი შვარცის ერთი პიესის პერსონაჟისა არ იყოს, ეს ხომ მათი ბრალი არ არის, მამათა სისხლმა უყივლათ.

საქართველოს კომპარტიაში მემკვიდრეობითმა მოღალატეობამ გაიღვიძა. შუბი ხალთაში არ დაიმალა.

სახარება გვასწავლის: „ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა".

მოდით, ადამიანებს გეენისათვის ნუ გავიმეტებთ. ავდგეთ და კომუნისტებს ერთხელაც მოვუწოდოთ, ცეცხლს მისცენ პარტბილეთები. თუ ეს ნებით არ გააკეთეს, მაშინ **საქართველოს კომპარტია კანონგარეშედ უნდა გამოცხადდეს და კანონით აეკრძალოს ყოველგვარი მოქმედება**. ეს იქნება არა დემოკრატიზმის პრინციპების დარღვევა, არამედ მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური გაჯანსაღებისაკენ.

ბოლოსდაბოლოს ვირწმუნოთ, რომ სამშობლოს ღალატის სინდრომი საქართველოს კომპარტიას დაბადებით დაჰყვა და ვერანაირი მეტამორფოზა და პერანგის გამოცვლა მას ამ ჭირისაგან ვერ განკურნავს. ანგელოზებით რომ დააკომპლექტო, იგი მეორე დღეს სატანის კერძად იქცევა.

დროა, ყველამ ვაღიაროთ უდავო ჭეშმარიტება — **განგებამ კომუნისტური პარტია ჩვენს ქვეყანას სასჯელად მოუვლინა**. თუ გვსურს, თავი საბოლოოდ დავიხსნათ სასჯელისაგან, შევინანოთ და განვდევნოთ ჩვენში შემორჩენილი კომუნიზმის მკრთალი აჩრდილი —

**კანონგარეშედ ვცნოთ საქართველოს კომპარტია.**

22. 08. 91.

**ივანე ამირხანაშვილი,**
გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" კრიტიკის განყოფილების გამგე.

**რედაქციისაგან:** როგორც ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელია, კომპარტიის ღალატმა საბოლოოდ აღუვსო ქართველ ხალხს მოთმინების ფიალა. ვფიქრობთ, ამჯერად, ისინი ველარ დაიძვრენენ თავს (შეიძლება ეს საკითხი ორშაბათს, 26 აგვისტოს გადწყდეს სესიაზე).

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ბატონმა ვახტანგ რაზმაძემ კანონი აამოქმედა მათ წინააღმდეგ. რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია სიხარულით მისცემს დასტურს ქართველი ერის ნებას, კომპარტიის კანონგარეშედ გამოცხადების შესახებ. ერთადერთი, კრემლი და გორბაჩოვი ეგულებოდათ ამ გაჭირვებულებს მფარველად და იმ გორბაჩოვსაც დღისით, მზისით უღალატეს.

ასე რომ, მათი პატრონი ახლა კაცი არ დარჩა ლენინის მეტი, მაგრამ ლენინიც, მათ ჰგონიათ ცოცხალი, თორემ კარგა ხნის მკვდარია უკვე.

ერთი სიტყვით, საქართველო მალე უკომუნისტებო ქვეყანად უნდა იქცეს. მოღალატე ბიუროს წევრებისთვის კი, თუ ვერ შეელევიან თავის მანდატებს, კარგი იქნებოდა, ერთი ოთახი გამოგვეყო — ლენინის ოთახი. დასხდებოდნენ იქ და სანდახან უცხოელ ტურისტებს ვაჩვენებდით...

23. 08. 91 წ.

# საგანგებო ვითარება

ქართველი და აფხაზი ხალხების ერთადერთი მომავალია ერთად ცხოვრება, ურთიერთპატივისცემა და ანგარიშგაწევა. ჩვენი პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს იმ დებულებას, რომ, მიუხედავად ზოგი მეცნიერისა და ფსევდომეცნიერის გამონათქვამებისა, ორივე ერი მოცემულ ტერიტორიაზე ავტოქთონურია. რომელიმე მათგანის დისკრიმინაცია დაუშვებელია, როგორც ისტორიული თვალსაზრისით, ისე თანამედროვე დემოკრატიის დაცვის თვალსაზრისით.

29 სექტემბრის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას აფხაზეთში სერიოზული საფრთხე ემუქრება. ვითარების (კერძოდ, მისი იურიდიული მხარის) დეტალურ ანალიზს შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში, ამჟამად, უკომენტაროდ ვბეჭდავთ რამდენიმე დოკუმენტს.

ჩვენი პოზიცია შემდეგია: მხოლოდ დემოკრატიული არჩევნები, ყველა ამომრჩევლის თანასწორი ხმა!

# აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს

ასლი: აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ამა წლის 8-9 აგვისტოს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ", რომელიც უხეშად არღვევს საარჩევნო კანონის და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მიერ დეკლარირებულ მოქალაქეთა თანაბარ საარჩევნო უფლების პრინციპს და მასთან დაკავშირებულ სხვა საკანონმდებლო დებულებებს.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. ქ. ტყვარჩელში, სადაც 18 787 ამომრჩეველია, შექმნილია 8 საარჩევნო ოლქი, ხოლო სოხუმის რაიონში, სადაც 29 889 ამომრჩეველია, შექმნილია სულ 4 საარჩევნო ოლქი.
2. ქ. სოხუმში 67 535 ამომრჩეველზე გათვალისწინებულია 10 საარჩევნო ოლქი. ამდენივე ოლქი არის შექმნილი ქ. გაგრაში 49 399 ამომრჩეველზე.
3. გუდაუთის რაიონში შექმნილია 9 საარჩევნო ოლქი, ხოლო გულრიფშის რაიონში — 6, თუმცა, ამომრჩევლების რაოდენობა ამ რაიონებში კომისიის მონაცემების მიხედვით, დაახლოებით თანაბარია (შესაბამისად, 39 800 და 39 094). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მონაცემების მიხედვით, გულრიფშელ ამომრჩეველთა რაოდენობა (39 197) სჭარბობს კიდეც გუდაუთელ ამომრჩეველთა რაოდენობას (36 060). (იხ. გაზეთი „სვობოდნაია გრუზია", 1991 წლის 2 ივლისი).
4. სოხუმის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა მინიმალური რაოდენობა არის 5 000 (2 საარჩ. ოლქი), ხოლო მაქსიმალური 9 500 (№8, 9 საარჩ. ოლქები), ამავე დროს, ქ. ტყვარჩელში შესაბამისად 1 287 (№ 28 საარჩ. ოლქი) და 1 900 (№ 21, 22, 24, 26, 27 საარჩ. ოლქები).

სხვა მონაცემების მოყვანაც შეიძლება.

თქვენს ყურადღებას მივაქცევთ აგრეთვე, იმ ფაქტს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხენებული დადგენილება გამოქვეყნდა 8 აგვისტოს და არა 24 ივლისს — არჩევნების გამოცხადებიდან მე-15 დღეს, როგორც ამას მოითხოვს საარჩევნო კანონის მე-16 მუხლი.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკმარისია, რათა ცხადი გახდეს — ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოახდინა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეთა საარჩევნო უფლების უპრეცედენტო დარღვევა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ, სასამართლო წესით განხილულ იქნას აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის და პერსონალურად მისი წევრების: ვიაჩესლავ ცუგბას, მერაბ გამზარდიას, იულია კოპილოვას, მელორ ალფენიძის, ვლადიმერ ანცუპოვის, ვახტანგ გასვიანის, ივანე გრინენკოს, ლევონ დემირჩიანის, გრიგორი ერემიანის, პაველ ქვაჩახიას, იური კვიწინიას, როინ ლაგვილავას, მატევოს ტაშიანის, დმიტრი ტომფეევის, ტარას ჩალბადის, ვახტანგ შონიას, რაუფ ებენოუს საარჩევნო ოლქების ორგანიზაციასთან დაკავშირებული უკანონო, არჩევნების ფალსიფიკაციისკენ მიმართული ქმედება და გაუქმებულ იქნას ცენტრალური საარჩევნო კომისიის ზემოაღნიშნული დადგენილება, როგორც აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის შეუსაბამო აქტი.

რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის სახელით თავმჯდომარე
**მალხაზ პატარაია**

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების სახელით გამგეობის წევრი
**დიმიტრი ჯაიანი**

12. 08. 91.

# ВЕРХОВНЫЙ СУД АБХ. АСС

**ПРЕДСЕДАТЕЛЮ АБХАЗСКОЙ РЕГИОНАЛЬНОЙ ОРГАНИЗАЦИИ ОБЩЕСТВА РУСТАВЕЛИ ПАТАРАЯ М. М.**

**ЧЛЕНУ ПРАВЛЕНИЯ ЦХУМ — АБХАЗСКОГО ОТДЕЛА ОБЩЕСТВА ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ ДЖАЯНИ Д.**

На Ваше письмо по вопросу рассмотрения в судебном порядке законности образования Центральной Избирательной комиссией Избирательных округов по выборам депутатов Верховного Совета Абхазской АССР сообщаю, что Законом Абхазской АССР «О выборах депутатов Верховного Совета Абхазской АССР» не предусматривается порядок обжалования решений центральной избирательной комиссии.

Об этом сказано и в Указе Президента Республики Грузия «О приостановлении действия Указа Президиума Верховного Совета Абхазской АССР от 20 июля 1991 года».

Одновременно разъясняю, что в соответствии с ч. 4 ст. 26 Закона Абхазской АССР о выборах «решения и действия избирательной комиссии могут быть обжалова[ны] в вышестоящую избирате[ль]ную комиссию, а в случа[ях] предусмотренных настоящ[им] законом так же в суде».

Поскольку Законом Абха[з]ской АССР О выборах [не] предусмотрен порядок суде[б]ного обжалования решен[ий] Центральной избирательно[й] комиссии по поставленно[му] Вами вопросу, он не мож[ет] быть предметом судебно[го] рассмотрения.

Вопросы связанные с выб[о]рами, подлежащие судеб[но]му рассмотрению строго [ре]гламентированы Законом «[О] выборах депутатов Верховн[о]го Совета Абхазской АССР» и нормы этого закона, [ра]сширительному толковани[ю не] подлежат.

Председатель Верховного С[уда]
Абхазской АССР —
М. АРГУ[Н]

22 августа 1991 г.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბ-ნ. მ. უგრეხელიძეს

ასლი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

ა. წ. 12 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოში შევიტანეთ სარჩელი აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო კანონის უხეში დარღვევის გამო. (სარჩელის ასლი თან ერთვის).

22 აგვისტოს აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელმოწერით მივიღეთ პასუხი (თან ერთვის), რომელიც თავის მხრივ, კანონის უცოდინარობისა და იგნორირების თვალსაჩინო ნიმუშია.

გთხოვთ, სასწრაფოდ განიხილოთ წარმოდგენილი მასალები და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის სახელით თავმჯდომარე
**მალხაზ პატარაია**

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების სახელით გამგეობის წევრი
**ბორის კაკუბავა**

23. 08. 91.

## „...მოხუცს ცრემლი მოედინება, ჭაბუკი ხმალსა მისწვდება!“

# ერთი ეპიზოდი 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან

1924 წლის აგვისტოს აჯანყებამ მთელ საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო. მე ამ ამბებს სამეგრელოში შევესწარი. აჯანყებულებმა ორი დღის განმავლობაში მთლიანად დაიკავეს სამეგრელოს ქალაქები და სოფლები. დააპატიმრეს და განაიარაღეს თანამდებობის მქონე კომუნისტები, მაგრამ სიკვდილით არცერთი არ დაუსჯიათ, ყველანი შინ გაუშვეს.

მაგრამ ფოთიდან ქვემეხებითა და სხვა სამხედრო იარაღით აღჭურვილი რუსის ჯარი შემოვიდა, რომლებმაც სისხლში ჩაახშეს ქართველი ხალხის ეროვნული აჯანყება. სახაკლაოდ მოაწყვეს სოფლად და ქალაქად. აპატიმრებდნენ და გაუსამართლებლად ხვრეტდნენ არა მარტო აჯანყების მონაწილეებს, არამედ, მოხუცებსა და ბავშვებს, დავრდომილებს და ყრუ-მუნჯებს, ყველას, ვინც კი შეხვდებოდათ გზაზე ან ოჯახში იმყოფებოდნენ. მარტვილის მინდორზე, ერთი ჭადრის ქვეშ, რუსის ჯარისკაცებმა დიდი სამარე გათხარეს და დახვრეტილები შიგ ჩაყარეს. შემდეგ ამ ჭადრის ხეზე თავი ჩამოიხრჩო ერთ-ერთი დახვრეტილის დედამ.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მაგონდება ადგილები გენერალ ერმოლოვის წიგნიდან:

„მე გავგზავნე ჯარი ყუბანის გაღმა სოფლებში. სრულიად მოულოდნელად, ჯარი თავს დაესხა ნაგალების სოფელს. დახოცეს საmasო კაცი ახაკიხა და სქესის განურჩევლად. ტყვედ წამოიყვანეს 566 კაცი. წამოასხეს 2000 მსხვილფეხა პირუტყვი.

ვუბრძანე მოესპოთ სოფლები. ხსვაოაშორის, აიკლეს, სულ ერთიანად მოსპეს, უმშვენიერესი პატარა ქალაქი ულუ-აილუ. გადაბუგეს 800 სახლი... ამ ბრძოლაში ჩეჩნის ქალები ხანჯლებით ხელში ებრძოდნენ ჩვენს ჯარებს. ყველა ისინი, რომლებიც იარაღს ატარებდნენ, დახოცილ იქნენ“.

დიახ, ამაყად, თავმომწონედ წერდა მოხუცებისა და ბავშვების აწიოკება-დახოცვაზე, ქალაქებისა და სოფლების გადაწვა-განადგურებაზე „რუსი გენია“ ერმოლოვი, როგორც მას ალექსანდრე პუშკინი უწოდებს.

„მე გენერალ სისოევს ვუბრძანე, ალყა შემოერტყა მდ. თერგზე მდებარე სოფელ დანან იურტისათვის — განაგრძობს თავისი „გმირობის“ აღწერას ერმოლოვი. — და წინადადება მიეცა მცხოვრებლებისათვის, დაუყოვნებლივ დაეცალათ სოფელი და წასულიყვნენ იქიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუბრალებლად დაესხათ ისინი არტილერიის ცეცხლით.

ჩეჩნებმა სოფლის დატოვება არ მოისურვეს, სისოევმა ბრძანება აღასრულა. ბევრი მცხოვრები, როცა მათ სახლებში ჯარისკაცები იარაღით ხელში უვარდებოდნენ, თვითონვე, თავისი ხელით, ხოცავდნენ ცოლებსა და შვილებს, რომ ისინი მტრებს ხელში არ ჩავარდნოდათ. ჯარისკაცები დიდი ნადავლით დაბრუნდნენ უკან, რადგან სოფელი მეტისმეტად მდიდარი იყო. ეს სოფელი 2000 კომლისაგან შედგებოდა. ის სექტემბრის 14 რიცხვს ადგილად იქნა აღგვილი დედამიწის ზურგიდან“.

1820 წელს იმერეთში დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება. აი, რას წერს ამის შესახებ ერმოლოვი:

„მეამბოხეთა სოფლები სულ ერთიანად დავანგრიეთ და გავანადგურეთ, ბაღები და ვენახები ავკაფეთ და ძირფესვიანად მოვსპეთ. ისე, რომ ეს მოღალატეები, მრავალი წლის განმავლობაში ვერ მოვლენ თავის ჩვეულებრივ მდგომარეობაში, უსაშინლესი სიღატაკე იქნება მათი ხვედრი“.

განა უყველაფერი ის, რასაც უნამუსოდ გვიამბობს პუშკინის საყვარელი გენერალი ერმოლოვი თავის ჩანაწერებში, დღესაც არ გრძელდება? დღესაც არ ხდება სამაჩაბლოსა და ცხინვალში, აფხაზეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში? ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ დღევანდელი რუსი ოკუპანტები უფრო ვერაგი და დაუნდობელნი არიან, ვიდრე მეფისდროინდელი ჯარისკაცები. საბჭოთა ჯარისათვის არავითარი კანონი არ არსებობს, არავითარი დანდობა და ადამიანური გრძნობა. ჩეხე, ჩეხე დაუნდობლად, მოხუცი და ახალგაზრდა, ბავშვი და დავრდომილი და ამისათვის ჯილდოს მიიღებ. საერთოდ, კომუნისტურ პარტიას, ბოლშევიკებს ჯარი, სამხედრო მოსამსახურე არ ჰყოლიათ. მათ ჰყავდათ მხოლოდ უგულო დამსჯელი რაზმი, რომელსაც თუ ას გრამ არაყს დაალევინებ, ტყვიას მშობელ დედას და მამას დაუშენს. ასე აღზარდა სამხედრო მოსამსახურეები კომუნისტური პარტიის დემაგოგიურმა აგიტაციამ.

1924 წელს, ფოთიდან რუსის დამსჯელი ჯარი რომ ჩამოვიდა დასავლეთ საქართველოში, უსასტიკესად გაუსწორდნენ არა მარტო აჯანყების მონაწილეებს, არამედ უდანაშაულო ხალხსაც. თითოეული რუსი ჯარისკაცი ცინიკურად ექცეოდა სოფლის მცხოვრებლებს, ჭაბუკებს, მოხუცებს და დავრდომილებს...

აქ მინდა გავიხსენო ერთი ამბავი, რომელიც დაკავშირებულია 1924 წლის აჯანყებასთან, კერძოდ, ზესტაფონსა და ყვირილაში დახვრეტილი პატიმრების გულშემზარავ ისტორიასთან.

1941 წლის გადასახლებაში ეტაპით მივყავდით რამდენიმე ახეული პატიმარი. ვაგონში დავუახლოვდი ერთ სამხედრო პატიმარს, რომლის გვარი, როგორც მახსოვს, ვორობიოვი იყო.

აი, რა მიამბო მან:

„ჩვენი სამხედრო ნაწილი ზესტაფონ-ქუთაისი-ყვირილაში იდგა. ზესტაფონში ჩემთან მოვიდა ნაწილის უფროსი და მითხრა: ახლავე ორი ახეული შეიარაღებული ჯარისკაცი მოიყვანე და დააყენე ახლოს, სადაც ვაგონები დგანანო. მე არაფერი ვიცოდი, რაში იყო საქმე. ვაგონებიდან კი ხმაური და ყვირილი შესმოდა. მათ ჩეკისტები ყარაულობდნენ. რამდენიმე ხნით ადრე მითხრეს: აქ ვაგონები რომ დგას, იმათში დამწყვდეულია აჯანყების მონაწილენი და სამეულის განკარგულებით ვაგონებშივე უნდა დავხვრიტოთ. ჩემთვის სხვა არავითარი წერილობითი განკარგულება არ მოუციათ. მთელს რესპუბლიკაში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული და ამიტომ, განკარგულება უყოყმანოდ უნდა შემესრულებინა. ჯარის ნაწილები ვაგონთან ახლო დავაყენე. ნაწილში ორი თუ სამი ქართველი ჯარისკაცი ერია. სანამდის სროლის განკარგულებას გავცემდით, ავუხსენით ჯარისკაცებს, რომ ვაგონში დამწყვდეულები არიან აჯანყების მონაწილეები და სამეულის დადგენილებით, ყველა ვაგონშივე უნდა დაიხვრიტოს. მოისმინეს თუ არა ჯარისკაცებმა ნაწილის უფროსის სიტყვა, ქართველი ჯარისკაცები სასწრაფოდ თოფიანად გამოვიდნენ მწყობრიდან და დაიფანტნენ. გაიცა სროლის განკარგულება. ჯერ ვაგონის ერთი მხარე დავცხრილეთ, შემდეგ კი მეორე მხრიდანაც ვესროლეთ. ვაგონებიდან დახვრეტილთა სისხლი მდინარესავით მოდიოდა. ეს აქტი რომ სრულდებოდა, მთელი არემარე ჯარით იყო გარშემორტყმული.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ადგილზე გამოცხადდნენ სამეულის წევრები, ექიმები და ჩეკას წარმომადგენლები. ვაგონი გაალეს და მეც ავყევი. რაც იქ ვნახე, იმის აღწერა ყოვლად შეუძლებელია. ერთმანეთს გადახვეოდნენ და ისე იყვნენ დახვრეტილნი. დღესაც საშინელი შიშის გრძნობით, სულის აფორიაქებით ვიგონებ იმ გაუგონარ ტრაგედიას, რომელიც შეიძლება ადამიანმა ვერც კი წარმოიდგინოს. ასეთი დახვრეტები ხდებოდა ახლომახლო ქალაქებსა და სოფლებში. ბრძანება გვქონდა, თუ გზაზე ვინმე შეგვხვდებოდა, უნდა დაგვეპატიმრებინა, თუ წინააღმდეგობას გაგვიწევდა, იქვე დაგვეხვრიტა.

ამ ოპერაციის შესრულების შემდეგ, ხალხი ძალიან ცუდი თვალით გვიყურებდა და მკვლელებს გვეძახდნენ. ამიტომ, ჩვენი ნაწილები სასწრაფოდ დაშალეს და სხვაგან გაგზავნეს. ჩვენს ადგილზე კი ჯარის ახალი ნაწილები მოვიდა.

ჩეკისტები კიდევ უფრო სასტიკნი იყვნენ აჯანყებულების მიმართ, ისინი ოჯახებშიაც შედიოდნენ, იქიდან გამოყავდათ, ვისაც ნახავდნენ ადგილზე ხვრეტდნენ, არ ინდობდნენ არც მოხუცებსა და არც ბავშვებს.

ახლა, რაც შეეხება იმ ქართველ ჯარისკაცების ბედს, რომლებმაც სასტიკი პროტესტი გამოცხადეს და დახვრეტაში მონაწილეობა არ მიიღეს; ისინი დააპატიმრეს და თბილისში გადაგზავნეს, მათი შემდეგი ბედის შესახებ არაფერი ვიცი“.

როცა პატიმარმა ოფიცერმა ჩემთან ამბის მოყოლა დაამთავრა, ვკითხე: — ხომ არ გაიხსენებ, სამეულის წევრთა გვარებს-მეთქი? ვინ დაივიწყებს იმ ჯალათების გვარებს, რომლებიც მხეცებივით მოქმედებდნენ პატიმართა წინააღმდეგ, — მითხრა მან და დაასახელა ტალახაძე, მშვენიერაძე, დანარჩენი კი ქუთაისის სამაზრო კომიტეტიდან იყვნენო...

ამასთან დაკავშირებით, მკითხველს მინდა გავაცნო, ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი, მარტვილის რაიონში აჯანყებულთა დახვრეტასთან დაკავშირებით.

მწერალ როდიონ ქორქიას სიკვდილის წინ, თავისი შვილისათვის, ჟურნალისტ ბიჭიკო ქორქიასათვის დაუტოვებია ასეთი ანდერძი:

**ბიჭიკო!**

ჩემი სიკვდილის შემდეგ, ეს ორი რვეული გადაეცი მწერალ ალექსანდრე სიგუას.

მამა.

რვეულები ბ. ქორქიამ გადმომცა, სადაც მეტად ძვირფასი ჩანაწერებია. ერთ-ერთ რვეულში ვკითხულობთ: „1924 წელს ხუტა აისელმა და საშა გეგეჭკორმა სამეგრელოში (სენაკში) დახვრიტეს 800 კაცი. ხუტა აისელი ახალსენაკელი იყო, გვარად ხუტა ხუბუტია“.

P.S. ვსარგებლობ შემთხვევით და რედაქციას ვთხოვ, გამოაქვეყნოს 1924 წლის აჯანყების აქტიური მონაწილეების, ძმების მუშნი და ოთარ დადიანების სურათები (მათ ვიცნობდი პირადად), რომლებიც მოტყუებით ჩამოიყვანა გეგეჭკორმა სვანეთიდან და დახვრიტა.

**ალექსანდრე სიგუა.**



მარცხნივ ვარლამ ჩიქოვანი, მარჯვნივ მუშნი დადიანი.



ოთარ დადიანი — მუშნი დადიანის უმცროსი ძმა.

# სისხლიანი დღეები სამტრედიაში

— 1924 წელი —

**სისასტიკით გამორჩეული ბოლშევიკური რეპრესიების შესახებ მოგონებები ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენს უფროს თაობაში. დღეს გთავაზობთ ერთ-ერთი მათგანის, 85 წლის ალექსანდრე ჩაგუნავას მონათხრობს 1924 წლის აგვისტოში სამტრედიაში დაწყებული მღელვარებისა და მისი ჩახშობის შესახებ.**

„იმ დღეებში ქალაქს მიტინგებისა და გაფიცვების ტალღა მოედო, რომელიც მიმართული იყო ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ხალხი იკრიბებოდა წმინდა გიორგის ეკლესიის წინამდებარე მოედანზე. აქციებში, მუშებისა და გლეხების გარდა, მონაწილეობდნენ ემიგრანტი ქართველებიც.

ამ გაბედულ აქციას იმგვარი გამოხმაურება ჰქონდა, რომ საჭირო გახდა ხალხის „დაშოშმინება“ და ამ მიზნით, თბილისიდან სამტრედიას გაემგზავრნენ ფილიპე მახარაძე და ვანო სტურუა, თუმცა, მათგან მხოლოდ ეს უკანასკნელი მოხვდა დანიშნულების ადგილას.

მისი ჩასვლისთანავე, შეიარაღებულმა კომკავშირელებმა და ჩეკისტებმა მიტინგს ალყა შემოარტყეს, დააპატიმრეს მისი ორგანიზატორები და აქტიური მონაწილეები. ისინი იმ დღესვე ქალაქის ცენტრში განლაგებულ კერძო დუქნებში მიიყვანეს და იქ დაამწყვდიეს. მათში ერია მამაჩემიც — ზეინკალი ნესტორ ჩაგუნავა.

დაიწყო დაპატიმრებას გადარჩენილ მიტინგის მონაწილეთა ძებნა, რომელიც რამოდენიმე დღე გაგრძელდა. მთელი ამ დროის განმავლობაში, კერძო დუქნები სატუსაღოებად იყო ქცეული.

ხუთი დღის შემდეგ, დაპერილები სადგურზე ჩამოყენებულ ვაგონებში — ავადმოსახსენებელ „ტეპლუშკებში“ შეყარეს. ცნობილია ფაქტი, რომ მემანქანე ტორონჯაძე, რომელმაც უარი თქვა ამ მატარებლის წაყვანაზე, დაიჭირეს და სხვებთან ერთად „ტეპლუშკაში“ ჩაკეტეს.

გიორგი კანდელაკი აიძულეს წაეყვანა შემადგენლობა. მატარებელი გავიდა სამტრედიის სადგურიდან, სადაც ბაქნის ორივე მხარეს ჩეკისტები იყვნენ ჩამწკრივებულნი.

მდინარე ცხენისწყლის ხიდის მახლობლად, წინდაწინ იყო ამოთხრილი უზარმაზარი ორმო. ამ ადგილას მატარებელი გააჩერეს და ჩაკეტილ ვაგონებს გარედან აუტეხეს სროლა.

შემდეგ კარები გაალეს და პატიმრები, ზოგი მკვდარი და ზოგიც — ცოცხალი, 10-11 მეტრის სიმაღლიდან გადაყარეს ორმოში. თხრილი, თავისი სიდიდის მიუხედავად, საკმარისი არ აღმოჩნდა. და ჩეკისტებს ზევიდან უამრავი მიწის დაყრა მოუხდათ, რათა გვამები მთლიანად დაეფარათ. ეპიდემიების საწინააღმდეგოდ სასაკლაოს მოაყარეს კირი, ხოლო დახოცილებს დაცვა დაუყენეს, რათა ახლობლებს გვამები არ მოეპარათ.

მე იმ დროს რკინიგზის სკოლაში ვსწავლობდი და კარგად მახსოვს დაცხრილული ვაგონები, რომლებიც აგვისტოს შემდეგ, კიდევ რამოდენიმე თვე იდგნენ დეპოში.

ვფიქრობ, ცხენისწყალის ხიდთან უნდა აიგოს დალუპულთა ხსოვნის ობელისკი და მის ასაშენებლად კი გაიხსნას საბანკო ანგარიში. ეს საჭიროა არა იმდენად მათთვის, არამედ, უფრო მეტად ჩვენთვის და მომავალი თაობებისათვის.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას, რათა მხარი დამიჭიროთ წამოწყებაში და ხელი შეუწყოთ კეთილშობილურ და საჭირო საქმეს.

ღრმა პატივისცემით
**ალექსანდრე ჩაგუნავა,**

**შრომის ვეტერანი, 85 წლის.**

ჩემს სამუშაო მაგიდაზე დევს ლურჯყდიანი, 12 ფურცლიანი რვეული. ხიძველის გამო, აქაიქ შეუვითლებული, გაცრეცილი. რვეული პირველი გვერდიდან ბოლომდე სავსეა ჩანაწერებით. ეს ჩვეულებრივი ხელნაწერები არ გახლავთ, სწორედაც უნიკალურია თავისი შინაარსით. ისეთ ფაქტებსაც წააწყდება კაცი, რომ, როგორც იტყვიან, თმა ყალყზე დაუდგება...

ხელნაწერების ავტორია ძველი თაობის მწერალი როდიონ ქორქია. ვისაც ეს მწერალი აღარ ახსოვს, მოვაგონებ ბავშვობაში ნასწავლ მის მოთხრობას — „მარილის აკვანში".

როდიონ ქორქიას ყდაზე წაუწერია: „ამ რვეულში ეპოქის ფაქტებია: რაც მინახავს ან გამიგონია სარწმუნოდ.

ეხლა არა, არ დაიბეჭდება.

გამოიყენონ ამხ. ა. სიგუამ თავისი შეხედულებებით, მაგრამ ჩემს შემდეგ...".

როდიონ ქორქია.

ბატონმა ალექსანდრე სიგუამ ეს რვეული მე გადმომცა, რათა ძველ ხელნაწერებს დღის სინათლე ეხილათ, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვწირავ ბატონ ალექსანდრეს, ამ კეთილშობილ, მრავალჭირგამოვლილ, ბოლშევიკებისაგან ნაწამებ კაცს,

რვეულში ისეთი ჩანაწერებიც არის, რომელთა დაბეჭდვა დღესაც სარისკოა, რადგან აუგად ნახსენები ამა თუ იმ პირის შთამომავალნი მტრად მექცევიან, მაგრამ მაინც ვბეჭდავ ყოველივეს, რადგან, ვინც საქართველოსა და ქართველ კაცს უღალატა, ვინც ასობით და ათასობით პატრიოტის სიცოცხლე შეიწირა, რატომ არის დანდობის ღირსი, არ მესმის!..

ჩანაწერებს პირობითი სათაური შევურჩიეთ — „ეპოქის ამბები". მათ შემოგთავაზებთ ნაწილ-ნაწილ, გაზეთის სხვადასხვა ნომერში.

ნოდარ გრიგალაშვილი

# ეპოქის ამბები

## როდიონ ქორქია

მყავდა სტუდენტობის და გიმნაზიის ამხანაგი ხუტა ხუბუტია. სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში, საექიმოზე. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებიდან, იყო უკრაინის ჩეკას თავმჯდომარე. 1923 წელს შევხვდი ხარკოვში. მითხრა: 600 კაცი — თეთრები ჩემის ხელით მყავსო დახვრეტილი. მისი ფსევდონიმი იყო „აისელი".

ამ კაცს უყვარდა მუსიკა, სიმღერა. ბინაზე ჰქონდა ყველა აღმოსავლური საკრავები. თვითონაც მშვენივრად უკრავდა.

ერთხელ ცოლი — რუსის ქალი ქეთია, გააჯავრა. ქეთიამ უკივლა:

«Ах ты палач! палач! палач!»

ხუტამ იცინა და იცინა. მერე დაუკრა საზი...

* * *

ალიოშა წუწუნავა და მე ბორჯომში ვისვენებდით, ერთხელ, გვიან ღამით, რესტორანში ვზივართ. ვიღაც ახალგაზრდამ -დიდხანს გვიყურა, მერე მოვიდა ჩვენთან და გვითხრა: ნება მომეცით, შემოგიერთდეთო. დავთანხმდით. მოიტანა სომხური კონიაკი, მწვადები... ჩვენ ქართული ლვინო გვედგა. ალიოშას უთხრა: მე თქვენ გიცნობთო, ძალიან მომწონსო თქვენი დადგმები. მეც შემაქო. ვცნობივარ. მერე გვითხრა, როცა შევეკითხეთ ვინაობა: ჩეკისტი ვარო, — პასუხისმგებელი, „ოპერატიული". 100 კაცი მყავსო დახვრეტილი... მეასე რომ დავხვრიტეო, ერთი თვის შვებულება და ორი თვის ხელფასი მომცესო. ეხლა აქ ვისვენებო... ძალიან მიყვარსო ხელოვნება. 100 კაცის მოკვლაზე მეტი არა უთქვამს რა. თითქოს და 100 ჩიტი მოეკლას. გარეგნულად იყო თითქოს უსისხლო, უფერული, გამხდარი. თვალები ჰქონდა ცივი. ტომით იყო სომეხი... გვარი არ მახსოვს. ეს იყო 1935 წელს. ეხლა კი 1978 წელია. მე ჩქარა მოვკვდები და მინდა, ეს ეპოქის ამბები ვინმეს ხელში ჩემს მერე მოხვდეს, ოღონდ მწერლის ხელში.

* * *

ვიცნობდი ერთ ჩეკისტს. ძალიან კულტურული — ე. ი. ლიტერატურის მცოდნე კაცი იყო. პიროვნების კულტის დროს საკონცენტრაციო ბანაკის უფროსი (80 000 კაცის) უფროსი იყო.

ყოველდღიურად 150 კაცს ვხვრეტდიო. საამისოდ მოსკოვიდან ნებართვა მქონდაო. საამისოდ მყავდაო შერჩეული 30 კაცისაგან — ბანდიტებისაგან — რაზმი... საოცარი ის იყო, რომ დასახვრეტად როცა მიდიოდნენ: ფეხზე ეკიდათო სიცოცხლე: «Для нас всё равно». — ამბობდნენო...

საერთოდ კი, ეს კაცი — ფსიქოლოგიურად მხიარული კაცი იყო... უყვარდა ოხუნჯობა...

* * *

სტალინის სუფრაზე ისხდნენ: სტალინი, ს. ქავთარაძე, ბერია და ჰიაურელი. სვამდნენ, მღეროდნენ. უცებ სტალინი ჩაფიქრდა, დააქნია თავი და სთქვა: „რა უცნაურია ცხოვრება!" რატომო, ჰკითხა ქავთარაძემ. „რატომ და შენ გინდოდა ჩემი მოკვლა, ეხლა კი ჩემთან ზიხარ და ერთად ვმღერითო..." ქავთარაძემ უთხრა: „რას ამბობ, რასო! ეგ როგორ იფიქრეო!" „აა! არ უარჰყო!.. შენ გინდოდა ჩემი მოკვლა! გინდოდა!.."

„შემეშინდაო", გვეთხრა ქავთარაძემ მე და შალვა დადიანს: „რომ დავა დამეწყო, ვაი თუ ისევ დამიჭიროსო..." და გავჩუმდიო...

აი, საოცარი ეპოქა!...

* * *

სტალინი და ბესო ლომინაძე წაიჩხუბნენ ხმამაღლა. სტალინმა გააგდო ლომინაძე. კაბინეტის კარებში ბესომ დაუყვირა: „Не признаю тебя за вождя!.. Не признаю!" ბესო ლომინაძე დახვრიტეს (არის სხვა ცნობაც, თითქოს თავი მოიკლა).

მე ეს მითხრა ლუკა შირუმოვმა, ჩემმა თანაპოლკელმა ამხანაგმა. თავმჯდომარის მოადგილემ.

* * *

სტალინი და სეით დევდარიანი საუბრობდნენ სტალინის კაბინეტში. სტალინმა გამოიძახა ზინოვიევი და რიკოვი და აცდევინა მათ მისაღებ ოთახში ერთი საათი. ეს ერთი საათი კი მე და სტალინი ვსაუბრობდითო, მითხრა სეითმა.

სტალინმა ზინოვიევი და რიკოვი დაამცირა ამით.

* * *

მარიამ ორახელაშვილს ჰყავდა კომისარიატში საქმეთა ხაწილის გამგეთ — ზალიკო, სიღნაღელი ვინმე, დიდი ფიზიკური ვაჟკაცი. ორი თვის შემდეგ, ზალიკო გაიქცა. გაქცევის წინ, შალვა დადიანს (შალვა ხელოვნების განყოფილების გამგე იყო) უთხრა: „მეტი არ შემიძლია ბ-ნო შალვა! გამომწურა მარიამმა... ყოველ ღამე — რამოდენიმეჯერ!.." მარიამმა ეს კაცი სპეციალურად ჩამოიყვანა სიღნაღიდან, რადგან, ის ძალზე ღონიერი ყოფილა.

* * *

ლეო ქიაჩელმაც ასე მითხრა ერთხელ: „ამ მთავრობამ ისე გააფუჭა ხალხი, რომ ბრძანება გამოსცეს: საპნის მოსახარშავად ქონი გვჭირდება და შვილები მოიყვანეთო, მიიყვანენ შვილებს!.."

შალვა დადიანმა მითხრა ერთხელ: ჰიტლერი და სტალინი ერთნაირი ფსიქოლოგიური ტიპებიაო.

* * *

შალვა დადიანმა მითხრა ერთხელ: ჰიტლერმა ოსვენციმი და მაიდანეკი სტალინისაგან გადაიღოო. კიდევ მითხრა: სტალინმა ომში დახოცილები შეაგროვებინა, ზედ მიცვალებულებს სისხლი გადაასხა და უთხრა რუსებს: აი, რას უშვრებიანო ფაშისტები რუსებს. ამით, სტალინმა გააბრაზა რუსი ხალხი შეგნებულადო.

ალექსანდრა კოლონტაი (გვარი კარგად არ იკითხება, — რედ.), მარიამ ორახელაშვილი, ლიდა გასვიანი, ზემლიაჩკა, ევგენია ბოში და მრავალი სხვა, თვითონ არჩევდნენ საჭირო ბიჭებს. ასე ესმოდათ მაშინ თავისუფალი სიყვარული. საქართველოსაც მოედო მაშინ ეს ტალღა — ოციან წლებში...

* * *

ვანო ბოლქვაძე თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე იყო. ერთხელ, ჩემი დასწრებით, ვიღაცას უთხრა ტელეფონით: „ბიჭო, განა არ იცი, ჩვენ მამებს ვხვრეტთ, შვილებს კი სკოლაში ვაგზავნითო..."

* * *

პოლიტპატიმრებმა რომ გაიგეს სტალინის სიკვდილი — იტირეს.

ილო მოსაშვილმა დიდი ბოროტება ჩაიდინა 1924 წელს. ილო ყოფილა მენშევიკების პარიტეტული კომიტეტის აგენტი კახეთში. როცა მენშევიკების მოწყობილი აჯანყება დამარცხდა, ილო დაიჭირეს. მან თავი იხსნა იმით, რომ ჩეკას გადასცა აჯანყებულთა მეთაურების სია. 400 კაცი ჩამოთვალა. ეს 400 კაცი დახვრიტეს, ილო გადარჩა.

* * *

ილო მოსაშვილს დაავალეს მ. ჯავახიშვილის მოკვლა. საგანგებოდ მოაწყვეს ხირსაში გამგზავრება. იქ, მარანში, აქეიფეს მწერლები. ილო ფხიზლად იყო, ოღონდ თავი მოიმთვრალა და რევოლვერი იძრო. ჯერ ესროლა ჭერს, მერე, ვითომდა, წაბარბაცდა და ესროლა ჯავახიშვილს. პაოლომ დაუჭირა ხელი.

მიხვდა ჯავახიშვილი და დაიყვირა: ამას ჩემი მოკვლა უნდაო. გარდა ილოსი, არ ვიცი, ვინ იყო განდობილი ამ საქმეში... საქმე ჩაიფუშა.

ილო მოსაშვილის საფლავს ორი თვის განმავლობაში აბინძურებდნენ ღამ-ღამობით...

* * *

სტალინს წყალტუბოში ერთი ჯავახელი გლეხის ქალი მოეწონა. ქალი და მისი ქმარი სამკურნალოდ იყვნენ ჩამოსულნი. შეეფეთნენ სტალინს. სტალინმა იკითხა ვინაობა... შედეგი ის იყო, რომ ცოლი მიგვარეს სტალინს, ხოლო ქმარი დაიკარგა...

* * *

პეტა კაპანაძემ მითხრა:

— ერთხელ მე და სტალინი ერთად გამოვედითო მისი ბინიდან. სტალინი დადგაო სახლის წინ და დაიწყოვო თმის დავარცხნა.

— რუსეთის მეფეა ეს ქართველი კაციო, — გავიფიქრეო და, საოცარია, მაშინვე მითხრაო სტალინმა სიცილით:

— პეტა, ვგავარ ახლა მე რუსების მეფეს?

— მართლა რომ საოცარია! — ვუთხარი მე პეტას...

* * *

კონსტანტინე გამსახურდია დაუბეგრიათ საშემოსავლო გადასახადით. მოვიდა ჩემთან და მთხოვა: შენ აღმასკომში მუშაობ (მაშინ მე თბილისის აღმასკომში ვმუშაობდი), იცნობ იქაურ დიდ პირუტყვებს (ე. ი. ბოლშევიკ მოხელეებს) და მომიხსენით ეს გადასახადი. მოვუხსენით.

* * *

დიმიტრი ყიფიანი ამბობდა: რუსი მეფე კარგია, ოღონდ რუსი ჩინოვნიკები არ ვარგიანო.

ნოე ჟორდანია ამბობდა: რუსი მეფე არ ვარგა, რუსი მოხელეები არ ვარგიან... რუსი ხალხი კი კარგიაო...

მე ვამბობ: (კონსტანტინე გამსახურდია) არც რუსი მეფე ვარგა, არც რუსი მოხელეები და არც რუსი ხალხი...

* * *

შენ მართალი ხარ, რომ მისაყვედურებ ჩემი წერის მანერას... — შეუბნებოდა კოწია — ჩემი წერის მანერით მე არ უნდა ვიყო ხალხში ესოდენ პოპულარული მწერალი, მაგრამ ბოლშევიკებმა იმდენი მაგინეს და გამაწვალეს, რომ შეაყვარეს ხალხს ჩემი თავი...

* * *

კოწიას ფეხზე ეკიდა კრიტიკა.

* * *

კოწიას არ სწამდა არც ნოე ჟორდანია, არც კარლო ჩხეიძე, არც ირაკლი წერეთელი. მენშევიკების ლიდერები კარლ მარქსის გაცვეთილ და დრომოჭმულ „კაპიტალს" ვერ გაშორებიანო...

და მოიყვანა ასეთი მაგალითი:

დადგა საქართველოს წინაშე დიდი მნიშვნელობის საკითხი. რა უნდა ჰქნას საქართველოს მთავრობამ?.. იფიქროს და იღონოს რამე გამოსავალი. ჟორდანია და წერეთელი კი აიღებენ კარლ მარქსს და ფურცლავენ... იქ ეძებენ გამოსავალს!...

და ეს არის ეროვნული მთავრობა!..

ეხლა ჩემი რეპლიკა კოწიას:

მართალი ხარ კოწია!.. ჟორდანიას მთავრობა იხედებოდა უკან და ვერ ხედავდა წინ...

გაიცინა კოწიამ: „ეხ! გვეცინება!.. მართალი იყო აკაკი: „ზოგჯერ სიცილი ცრემლზე უფრო მწარეა!.."

* * *

საქართველოს გასაბჭოების გამოცხადებისას რევკომმა სამეგრელოსი და ფოთის ხელმძღვანელად დანიშნა საშა ლამბაროვი, იურისტი, გამომძიებელი. ის ჩამოვიდა ფოთში. გამოაცხადა მოხსენება.

ამ კაცმა უდიერად განაცხადა (სიტყვა-სიტყვით მახსოვს): „ლენინს არ უნდოდა საქართველოს გასაბჭოება, მაგრამ, ჩვენ, ქართველმა ბოლშევიკებმა არ დავუჯერეთო".

* * *

1922 წელს ორჯონიკიძემ შეგვკრიბა პარტიის ძველი მუშაკები. ვიყავით 62 კაცი. ორჯონიკიძემ პირდაპირ განაცხადა: ლენინს არ უნდოდა საქართველოს გასაბჭოება, ეს მე გავაკეთეო. მე, შემოვიყვანე წითელი ჯარი საქართველოში.

* * *

საბჭოთა რუსეთს ბლოკადა ჰქონდა გამოცხადებული ევროპისაგან. ლენინს უნდოდა, გარღვევა საქართველოს მეშვეობით: საქართველო ივაჭრებდა ევროპასთან, ხოლო რუსეთი წაიღებდა ამ საქონელს საქართველოდან. ამისათვის ლენინმა გადადო საქართველოსათვის სამი მილიონი მანეთი ოქროთი.

სტალინმა გაიგო ეს და ლენინის დაუკითხავად შეაჩერა ამ ფულის გადმოგზავნა: გააუქმა ლენინის ბრძანება (ს. დევდარიანმა მითხრა).

* * *

სტალინს საქართველო არ უყვარდა.

* * *

ბათუმის ამბების შემდეგ — 1902 წ. თბილისის კომიტეტმა სტალინი გარიცხა პარტიიდან ნოე რამიშვილის წინადადებით. ეს მე დავით სულიაშვილმა მითხრა. მითხრა ივანე მგელაძემაც.

* * *

1925 წელს მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება: საქართველოს მუზეუმში რაც ოქრო-ვერცხლის ნივთებია, აღწერეთ, დაბეჭდეთ ზანდუკში და გამოგზავნეთო... ლადო სუხიშვილმა, გიორგი დოლიძემ და მე, ეს ბრძანება არ შევასრულეთ... გადავარჩინეთ ქართველი ერის ქონება... მოსკოვი ამას გაყიდდა...

იმავე წელს, მოსკოვმა გაყიდა ევროპაში 150 000 მან. ოქროთი ღირებული ერეკლე II ოქროს გვირგვინი, რომელიც ეკატერინე II უძღვნა ერეკლეს.

თავის დროზე, ეს გვირგვინი გრაფმა პანინმა მიუხედავად ეკატერინეს ბრძანებისა, ერეკლეს არ გამოუგზავნა. პანინი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. მას ეკუთვნის ბრძანება რუს ხელისუფალთა მიმართ: «Действуите так, чтобы тело была грузинское, а душа русская».

* * *

ერთხელ შალვა ამირანაშვილმა გამოგვიძახა ვლ. ზამბახიძე, ლედი ბაბილუა და მე. გვითხრა საქართველოს განძის ჩამოტანის ამბავი.

შალვასთან ყოფილა პეტრე შარია. მივედითო ჩვენს საელჩოში, მოვაგვარეთ განძის მიღების საკითხი. იქ ექვთიმე თაყაიშვილი დაგვხვდაო. ჩვენთან სულ იყო თარჯიმანი და საელჩოს წარმომადგენელი. ნოე ჟორდანიამ გამოგვიძახა. მე მარტო არ წავედი. ჩვენს ელჩს ვუთხარი, გამატანეთ პასუხისმგებელი მუშაკი-მეთქი. ელჩი მიხვდა, გაიცინა და გამატანა. ნოე ჟორდანიასთან მე ცინჯად მეჭირა თავი საუბარში, პეტრე-კი სულ ერეოდა საუბარში, [illegible] რომ ჟორდანიას ეს არ მოეწონა...

განძის მიღების პროცედურები რომ დამთავრდა, დე-გოლის ადიუტანტმა, პოლკოვნიკმა, სუფრა გაგვიშალა ერთ ბაღში. იყვნენ რამოდენიმე ფრანგი ოფიცერი, თაყაიშვილი, თარჯიმანი და ჩვენ.

პოლკოვნიკმა ჯერ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სადღეგრძელო დალია, მერე — სტალინისა. ყველანი ფეხზე წამოვუდექით. მერმედ დე-გოლის სადღეგრძელო ასწია. ყველანი წამოვდექით. შარია არ ადგა. ეწყინა პოლკოვნიკს და მოითხოვა: ადექითო! შარია მაინც არ ადგა. მაშინ პოლკოვნიკმა ეს დე-გოლის შეურაცხყოფად მიიღო და დუელში გაიწვია.

— მე პრინციპულად დუელის წინააღმდეგი ვარო, — თქვა შარიამ.

მაშინ პოლკოვნიკმა თქვა: მე გამიგონია, რომ ქართველები მამაცი ხალხია, მაგრამ ლაჩარი ყოფილხარო... მაშინ მე ავდექი და მოვახსენე პოლკოვნიკს, ვიღებ თქვენს გამოწვევას... გაეხარდა პოლკოვნიკს და დუელი იქვე მოეწყო, ბაღში. დავდექით ბარიერზე. ერთი ფრანგი ოფიცრის რევოლვერი მომცეს. პირველად მე უნდა მესროლა, მაგრამ ჰაერში გავისროლე, მერე მკერდი მოვუშვირე პოლკოვნიკს და წინადადება მივეცი: მზად ვარ! ეს ფრანგებს თან გაუკვირდათ და თან მოეწონათ.. პოლკოვნიკმა მითხრა:

„მამაცი ყოფილხართ, ქართველების სახელი აღადგინეთ, თან მადლობელი ვარ, რომ დე-გოლს პატივი ეცითო"... მოვიდა და გადამეხვია.

ყველაფერს ამას შარია ისევ სკამზე დამჯდარი უყურებდა შორიდან. ამის შემდეგ, ბანკეტი მხიარულად გაგრძელდა...

ერთხელ შარიამ მითხრა: სტალინი უკულტურო კაციაო. არ ვიცი, პროვოკაციულად მითხრა თუ ნამდვილად.

ერთხელ შარიას შევესწარი: ჩემს ჩემოდანში იჩხრიკებოდა. ცხადია, მზვერავდა. არ მენდობოდა.

დუელის ამბავი შალვამ უფრო დაწვრილებით გვითხრა, მაგრამ მე მოკლედ ვწერ. დიდი ხნის ამბავია და სუსტად მახსოვს.

შალვამ მითხრა: შენ ეს მოთხრობად გამოიყენე თუ გინდა, ოღონდ არ დაგიბეჭდავენ, სანამ შარია ცოცხალიაო. მე მაინც ჩაწერილი მაქვს დღიურში, ოღონდ ვერ გამოვიყენებ. მომავალში — ჩემი სიკვდილის შემდეგ — ვინმე გამოიყენებს, რადგან უბრალო ეპიზოდი არაა...




რომან ჭარქუხაშვილის ნახატი


ინდექსი 66447
ფასი 50 კაპ.
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35. ტელ: 22-16-01.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქართველოში"
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი